

განმარტებითი ბარათი
საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე
საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო
კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი კანონპროექტი გამომდინარეობს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტიდან.

ა.ბ. კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს ორგანული კანონი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ და საქართველოს ორგანულ კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“.

ა.გ. კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის ძირითადი არსი გახლავთ ის, რომ არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანისა და განხილვის ვადა საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“, ნაცვლად განისაზღვრა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ. სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე. კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული მოქმედება.

ბ.ვ. კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);
კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში
კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.

